ტფილისის “დინამოს” ახალი გამარჯვება

ლენინგრადიდან მიღებულია ცნობა, რომ **ტფილისის “დინამოს” და ლენინგრადის “სპარტაკის”** შეჯიბრება საკავშირო პირველობაზე დამთავრდა ტფილისელთა ბრწყინვალე გამარჯვებით 6:1. ამ თამაშში განსაკუთრებით თავი ისახელეს მ. ბერძენიშვილმა, ბ. პაიჭაძემ და მ. ასლამაზოვმა.

ამრიგად, ტფილისის “დინამოს”, რომელიც თავის ჯგუფში პირველ ადგილზე მიდის, დარჩა კიდევ ერთი შეჯიბრება მოსკოვის ქარხანა “სერპ ი მოლოტთან”. უკანასკნელი მატჩი შესდგება მოსკოვში 2 ივლისს.

“სერპ ი მოლოტი” ძლიერ მოწინააღმდეგეს წარმოადგენს ტფილისელებისათ-ვის. უკანასკნელად გუნდს შეემატა საბჭოთა კავშირის ცნობილი ფეხბურთელი ი. სელინი, რომელიც “დინამოდან” “სერპ ი მოლოტის” გუნდში გადავიდა. აიხსნება ეს იმით, რომ სელინი (ინჟინერია) ამჟამად “სერპ ი მოლოტის” ქარხანაში მუშაობს საფასონო-ჩამომსხმელი საამქროს გამგის მოადგილეთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ “სერპ ი მოლოტის” გუნდში თამაშობს ტფილისის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გ. ვაჩნაძე.

თუ ეს მატჩიც ტფილისის “დინამომ” მოიგო, მაშინ ის “ბ” ჯგუფიდან “ა” ჯგუფში გადადის და გვერდში ამოუდგება საბჭოთა კავშირის საუკეთესო გუნდებს.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 26 ივნისი, 1936 წ.